# გუშინ...

„ა" კლასი I ჯგუფი

„ნეფტჩი" — „დინამო" (კიევი) 0:0
„შახტიორი" — „დინამო" (მინსკი) 0:0
„არარატი" — „სპარტაკი" 1:1
ასკ (როსტოვი) — „ტორპედო" (მოსკოვი) 1:1
„კაირატი" — ცსკა 0:2
„პახტაკორი" — „დინამო" (მოსკოვი) 1:1
„ზარია" — „ზენიტი" 0:0
„დინამო" (კიროვაბადი) — „ჩერნომორეცი" 0:0

**როცა გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო...**

წუხელ კიევში კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩში ცსკა-მ დაამარცხა ადგილობრივი „სტროიტელი" — 73:64.

## დღეს ნომერში:

წყალბურთელებში ორხელისუფლებიანობაა

„რომელი კლასიდან გამოვიდა ფეხბურთელი ვალოდია

...ეს უმნიშვნელო საკითხი არ გახლავთ"

მოიპოვებენ ოქროს მედლებს თბილისის „დინამოს" კალათბურთელები?

### თასი ჩემპიონს

ბარნაული, 10 აპრილი. ფიგურულ ციგურაობაში სსრ კავშირის ჩემპიონი ს. ჩეტვერუხინი (მოსკოვი) აქ საბჭოთა კავშირის თასსაც დაეუფლა. II ადგილი დაიკავა ლენინგრადელმა ვ. კურენბინმა, III — მოსკოველმა ვ. მეშკოვმა.

ბოტვინიკი, სმისლოვი და ლარსენი



ამას წინათ ქუთაისში გაიმართა რესპუბლიკური ტურნირი „მელაზე ნადირობაში".

სურათზე: ქუთაისელი ვ. სოლდატოვი ასპარეზობისას.

ფოტო ჯ. ფხაკაძისა.

(შეჯიბრების ანგარიში იხ. მე-2 გვ.).


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 71 (3555)

11

1968 წ. აპრილი, ხუთშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.


# ამკარა წუნი

თბილისი, „დინამოს" სტადიონი. 10 აპრილი.

„დინამო" (თბილისი) — „ლოკომოტივი" (მოსკოვი) 0:1 (0:1).

„დინამო": ურუშაძე, პეტრიაშვილი, რეხვიაშვილი, ხურცილავა, ცხოვრებოვი, ძოძუაშვილი, მეტრეველი, ასათიანი, გავაშელი (კუტივაძე), გ. ნოდია, მესხი (ქიქავა).

„ლოკომოტივი": ფროლოვი, უიტკუსი, როდიონოვი, ზაიცევი, დიკარევი, უსატორე, ცეიტინი (ერიომინი), კოხი, ატამალიანი, პეტროვი, ორეშნიკოვი (ბასალაევი).

მსაჯი მ. პინსკი (ხარკოვი).

1 ქულა 4 შესაძლებლიდან! ასეთი მარცხიანი სტარტი აიღო შარშანდელი ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორმა — თბილისის „დინამომ" საიუბილეო ჩემპიონატში. დანაკარგი საკმარისზე მეტია, მაგრამ იგი გაცილებით მეტი იქნება, თუ ჩვენმა გუნდმა მომავალშიც ისე ითამაშა, როგორც ამ განვლილ ორში.

ჯერ ერთი, შემადგენლობის შესახებ. მოსკოვის „სპარტაკთან" ხურცილავას გამოყვანამ თავდასხმაში ვერავითარი გამართლება ვერ ჰპოვა, ვინაიდან ამ მანევრში სიახლისა და მოულოდნელობის ელემენტი უკვე აღარ იყო, ხოლო ჯერ კიდევ მოუმზადებელმა ფეხბურთელმა პირადი მონაცემების ხარჯზე ვერ შეძლო სპარტაკელთა დაცვის დაძლევა. ამჯერად დინამოელთა ხელმძღვანელობამ ახალი „ექსპერიმენტი" შემოგვთავაზა და ტიპიური მცველი ძოძუაშვილი, რომელიც დაცვის ფლანგზე თამაშს დიდი ხანია შეეთვისა, ნახევარმცველის პოსტზე გამოიყვანა. ეს აშკარა შეცდომა იყო. ძოძუაშვილის მოქმედება შუა მინდორზე ისე ჰგავდა ნახევარმცველის თამაშს, როგორც ხურცილავასი — თავდამსხმელისას.

შემდეგ. მატჩის დიდი ნაწილი დინამოელებმა ჩაატარეს ისე, რომ თავდამსხმელები ფაქტიურად პასიური მეთვალყურეების როლში იყვნენ. ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა დგას გ. ნოდიას თამაში. ნაკრებში გავლილი წინასასეზონო მზადებისა მას არაფერი ეტყობა. ვერც გავაშელზე ვიტყვით კარგს... ჩვენს გუნდს ძალიან დაეტყო ასათიანის ცუდი თამაში. ასათიანი „სპარტაკთან" და ასათიანი „ლოკომოტივთან" — ეს იყო ცა და დედამიწა.

არც დაცვაში იყო ყველაფერი რიგზე. ამ ხაზის მოთამაშეები უმთავრესად ბურთის მოგერიებაზე ზრუნავდნენ, მაგრამ გადაცემის სიზუსტეზე არავის შეუწუხებია თავი და ამიტომ იყო, რომ მათი ადრესატები უმთავრესად „ლოკომოტივის" მოთამაშეები იყვნენ. გოლიც, რომელიც ატამალიანმა გაიტანა 29-ე წუთზე, შეცდომის შედეგი გახლდათ. მოსკოველები კონტრშეტევაზე 2 კაცის შემადგენლობით იმყოფებოდნენ, ჩვენს დაცვაში კი ოთხივე მოთამაშე საჯარიმო მოედანზე იდგა. „იდგაო" იმიტომ ვამბობთ, რომ მათ კარში ბურთის თავისუფლად დარტყმის საშუალება მისცეს ატამალიანს. გარდა ამისა, ამ მომენტში ურუშაძეც შეცდა.

მეორე ტაიმში დინამოელებმა ვერ შეძლეს გამოეყენებინათ რამდენიმე საუკეთესო მომენტი. ჯერ მეტრეველმა ფეხზე დაუსვა ბურთი ნოდიას, რომელმაც დააკვიანა და ხელში მისცა იგი ფროლოვს. შემდგომში ისევ მეტრეველის გადაცემებიდან ვერ დაამთავრეს კომბინაციები მესხმა და ქიქავამ. მატჩის ბოლო ეპიზოდი იყო ის, რომ კოხმა ახლოდან ძელს მოახვედრა ბურთი.

„დინამომ" გუშინ აშკარა წუნი გვიჩვენა.

რ. ქორიძე.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

# ფუჭი იერიშები

ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 10 აპრილი.

„ტორპედო" (ქუთაისი) — „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) 0:0.

„ტორპედო": კვასხვაძე, ლოსაბერიძე, წივწივაძე, ებრალიძე, ჩხაიძე (ქითანავა), წვერავა, ასიტაშვილი, ვეკუა, ხუციშვილი, ხაჟალია, ხერხაძე.

„კრილია სოვეტოვი": აგურეევი, ბობილევი, სახაროვი, კაპსინი, ვალკოვი, მაიოროვი, ჟუკოვი, კორშუნოვი, კაზაკოვი, ტიმოშენკო (გორშკოვი), არიაპოვი.

მსაჯი თ. ველიევი (ბაქო).

მატჩის დასაწყისი, დაახლოებით 20 წუთი, თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა. ორივე გუნდის თავდამსხმელები ცდილობდნენ ხელთ ეგდოთ ინიციატივა, მაგრამ მათი აქტიურობა შუა მინდორს არ ცილდებოდა. კარში დარტყმამდე საქმე არ მიდიოდა. სულ ამ ხნის განმავლობაში ერთხელ ხერხაძემ „მოსინჯა" მოწინააღმდეგის მეკარე, ერთხელაც — კორშუნოვმა.

შემდეგ ტორპედოელებმა მკვეთრად უმატეს ტემპს. მათგან გამოირჩეოდა ხერხაძე, რომელიც სისტემატურად იგებდა ბრძოლას თავის ფლანგზე და აწოდებდა ბურთებს ცენტრში. აქ რამდენიმე კარგი შესაძლებლობა ვერ გამოიყენეს ხუციშვილმა და ხაჟალიამ.

შესვენების შემდეგ ტრავმირებული ჩხაიძე შეცვალა ქითანავამ, რამაც საგრძნობლად გამოაცოცხლა თავდასხმის თამაში. ქუთაისელები ხშირად უტევდნენ, მაგრამ უზუსტობას იჩენდნენ კარში დარტყმისას და შედეგიანად ვერ ამთავრებდნენ კომბინაციებს. კარგი მომენტები ჰქონდათ სტუმრებსაც (მაგალითად, კაზაკოვს).

შ. ნიჟარაძე.

(ტელეფონით, ჩვენი კორ.).

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 11 აპრილისათვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ნეფტჩი" (ბაქო) | 3 | 2 | 1 | 0 | 5—0 | 5 |
| „დინამო" (კიევი) | 3 | 1 | 2 | 0 | 2—0 | 4 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 3 | 1 | 2 | 0 | 2—1 | 4 |
| „ზარია" (ლუგანსკი) | 3 | 1 | 2 | 0 | 1—0 | 4 |
| ცსკა | 2 | 1 | 1 | 0 | 3—1 | 3 |
| „არარატი" (ერევანი) | 2 | 1 | 1 | 0 | 3—1 | 3 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 2 | 1 | 1 | 0 | 2—0 | 3 |
| „პახტაკორი" (ტაშკენტი) | 3 | 0 | 3 | 0 | 2—2 | 3 |
| ასკ (როსტოვი) | 2 | 0 | 2 | 0 | 2—2 | 2 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 2 | 0 | 2 | 0 | 1—1 | 2 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 2 | 0 | 2 | 0 | 1—1 | 2 |
| „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი) | 2 | 0 | 2 | 0 | 1—1 | 2 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 2 | 1 | 0 | 1 | 1—2 | 2 |
| „დინამო" (კიროვაბადი) | 3 | 0 | 2 | 1 | 0—1 | 2 |
| „დინამო" (თბილისი) | 2 | 0 | 1 | 1 | 0—1 | 1 |
| „დინამო" (მინსკი) | 2 | 0 | 1 | 1 | 0—1 | 1 |
| „ტორპედო" (ქუთაისი) | 2 | 0 | 1 | 1 | 0—2 | 1 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 2 | 0 | 1 | 1 | 0—2 | 1 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 2 | 0 | 1 | 1 | 0—4 | 1 |
| „კაირატი" (ალმა-ათა) | 2 | 0 | 0 | 2 | 0—3 | 0 |

### სპორტული საათი!

◆ ტოკიო, 10 აპრილი. იაპონურ ტურნეში ზედიზედ სამი გამარჯვების შემდეგ სსრ კავშირის ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრებმა დღეს ვაკაიამაში წააგო თამაში მასპინძელთა ეროვნულ გუნდთან — 2:3 (15:9, 9:15, 7:15, 15:10, 6:15). სენდაიში საბჭოთა ქალების ნაკრებმა დაამარცხა „იასიკა" — 3:2 (15:13, 11:15, 5:15, 18:16, 17:15).

◆ კასაბლანკა, 10 აპრილი. აფრიკის კალათბურთელ ვაჟთა IV ჩემპიონატში ყველას აჯობა სენეგალის გუნდმა, რომელმაც გადამწყვეტ მატჩში ფარ-ხმალი დააყრევინა მაროკოს ნაკრებს — 67:61. ეს ორივე გუნდი მეხიკოს ოლიმპიადის ფინალურ ტურნირში იასპარეზებს. ჩემპიონატში 9 ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

გასულ კვირას თბილისის იპოდრომზე გაიმართა საქალაქო მძლეოსნური კროსი გაზეთ „პრავდის" პრიზზე.

სურათზე: 3000 მეტრზე მორბენალი ჭაბუკები.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

(შეჯიბრების ანგარიში იხ. მე-2 გვ.).

# რალფ ბოსტონს თვალები აეხილა

ნიუ-იორკი, 10 აპრილი. ცნობილმა ზანგმა სპორტსმენმა, მსოფლიო რეკორდსმენმა რალფ ბოსტონმა გადაწყვიტა ბოიკოტი გამოუცხადოს მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებს. ესაა პროტესტი მარტინ ლუთერ კინგის მკვლელობის გამო.

„მე არ მინდა გამოვიდე სპორტულ სარბიელზე, რათა სახელი მოვუხვეჭო მარტინ ლუთერ კინგის მკვლელებს", — განაცხადა მსოფლიო რეკორდსმენმა, როცა თავის მშობლიურ ქალაქ ნეშვილში გამოვიდა, იმავე ტენესის შტატის ქალაქში, სადაც კინგი მოკლეს.

„მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე, — განაგრძო ბოსტონმა, — კინგს სასტიკად ექცეოდნენ ის ადამიანები, რომლებიც ახლა, სიკვდილის შემდეგ, ღირსეულ პატივს მიაგებენ მას. ეს საშინელი ტყუილია. მე არ მჯერა ამ ადამიანებისა".

როგორც ცნობილია, თავდაპირველად ბოსტონს არ სურდა შეერთებოდა ზანგ სპორტსმენებს, რომლებმაც ბოიკოტი გამოუცხადეს ოლიმპიადას ამერიკის შეერთებულ შტატებში რასობრივი დისკრიმინაციის პროტესტის ნიშნად. მას მიაჩნდა, რომ ბოიკოტი „პოლიტიკური აქტია" და რომ იგი დაუკარგავს მეხიკოს ოლიმპიადაში ზანგი ხალხის სახელით გამოსვლის შესაძლებლობას. მემფისში ჩადენილმა მკვლელობამ თვალები აუხილა მსოფლიო რეკორდსმენს.






ПРАВДЫ

## ერთადერთი სრული გუნდით

მძლეოსნურ კროსში თბილისის ტრადიციული პირველობის მონაწილე კოლექტივები წლეულს სამ ჯგუფად დაჰყვეს. პირველ ჯგუფში უმაღლესი სასწავლებლები შევიდნენ, მეორეში — ტექნიკუმები, მესამეში — საწარმოო კოლექტივები. წლეულს პროგრამას დაემატა 17-18 წლის ქალიშვილების შეჯიბრება 1000 მეტრზე.

ორგანიზატორები ვარაუდობდნენ, რომ ეს ცვლილებები ხელს შეუწყობდა ტურნირის მასობრიობას, წაახალისებდა კოლექტივებს, მაგრამ მსაჯთა კოლეგიას პირველობის დაწყების წინ ხელთ ჰქონდა მხოლოდ სამი განაცხადი — ფიზკულტურის ინსტიტუტის, სპორტკლუბ „განთიადის“ და საფინანსო ტექნიკუმისა. მონაწილეთა რიცხვს სტარტამდე რამდენიმე წუთით ადრე შეუერთდნენ უნივერსიტეტის, პოლიტექნიკური და სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტების, სპორტკლუბების — „გამარჯვებისა“ და „უშბის“, ფეხსაცმლის № 1 ფაბრიკის, სახელმწიფო ვაჭრობისა და მანქანათმშენებლობის ტექნიკუმების წარმომადგენლები. ზოგიერთმა მწვრთნელმა თავისი აღსაზრდელიც ჩააბა პირად პირველობაში.

განაცხადების დაგვიანება კიდევ არაფერი. მაგრამ საქმე ის არის, რომ შეჯიბრების ტექნიკურ შედეგებში „უმაღლესი მიღწევა“ II თანრიგისა იყო. რაც მთავარია, ტურნირი არც მასობრიობით გამოირჩეოდა. სამწუხაროდ, სრული გუნდი მხოლოდ ფიზკულტურის ინსტიტუტს ჰყავდა. გასაკვირია გულგრილობა უნივერსიტეტის ნაცადი კოლექტივისა, რომელმაც მხოლოდ რამდენიმე მონაწილე წარმოადგინა და ბოლო ადგილი დაიკავა. უნდა ვუსაყვედუროთ სამედიცინო, უცხო ენების, პუშკინის სახელობის პედაგოგიური და ზოოტექნიკურ-სავეტერინარო ინსტიტუტების, სამხატვრო აკადემიისა და კონსერვატორიის ფიზაღზრდისა და სპორტის კათედრებს, რომელთაც არც ერთი სპორტსმენი არ გამოუყვანიათ.

პირველ ჯგუფში ფიზკულტურის ინსტიტუტის ნაკრებმა ექვსიდან ხუთ დისტანციაზე გაიმარჯვა და პირველობაც მას დარჩა. მეორე ჯგუფში ყველას აჯობეს მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის, მესამე ჯგუფში — სპორტკლუბ „განთიადის“ მძლეოსნებმა.

ყველაზე მასობრივი (75 მონაწილე) გამოდგა იუნიორთა შეჯიბრება 3000 მეტრზე. თავიდანვე დაწინაურდა ფიზკულტურის ინსტიტუტის მესამეკურსელი ი. ცანავა, რომელმაც იოლად მოიპოვა გამარჯვება — 8.54,4.

ქალებში 1000 მეტრზე რბენა მოიგო ცანავას თანაგუნდელმა ლ. პაზოკამ — 3.18,4. გოგონებში პირველი იყო ბიბლიოთეკარული სასწავლებლის მოსწავლე მ. მეტრეველი — 3.27,8.

დანარჩენ დისტანციებზე უძლიერესნი აღმოჩნდნენ: 2000 მეტრზე ქალთა რბენაში — 5. ბახტაძე — 7.17,2, 3000 მეტრზე ჭაბუკთა რბენაში — ა. მიქოიანი — 9.18,8, 8000 მეტრზე ვაჟთა რბენაში — ი. დავიდენკო — 25.53,4 (ყველა — ფიზკულტურის ინსტიტუტი).

**გ. თენგოზვილი.**

## 150

„პრავდის“ პრიზზე საქალაქო კროსის სტარტზე 150-მდე მძლეოსანი გამოვიდა. 500 მეტრზე მორბენალ გოგონებში პირველი იყო პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი კ. ქურთაევა. 1000 მეტრზე რბენაში ყველას აჯობა მისმა თანაგუნდელმა ფ. ზეთეევამ.

ჭაბუკებიდან 1000 მეტრზე რბენაში უძლიერესი აღმოჩნდა მე-6 საშუალო სკოლის მოსწავლე ი. დოგუზოვი. 3 კილომეტრზე რბენა მოიგო ა. პრომაკოვმა, ხოლო 5000 მეტრზე — პედინსტიტუტის სტუდენტმა ფ. ჯიოევმა.

მოსწავლეებში გუნდური პირველობა მე-3 სკოლის სპორტსმენებს ხვდათ, საწარმოო დაწესებულებების ფიზკულტურულ კოლექტივებში — პედინსტიტუტის გუნდს.

**ვ. მელქოევი.**
(ჩვენი კორ.).

ცხინვალი.

სსრ კავშირის ჩემპიონატი ფეხბურთში

# ერთ შეხვედრაში — 10 პენალტი

**მოსკოვი.** 10 აპრილი (ტელეფონით). გუშინ აქ გაიმართა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტკლუბისა და მოსკოვის „დინამოს“ გუნდების განმეორებითი შეხვედრა (როგორც ცნობილია, წინა მატჩი დინამოელებმა გააპროტესტეს). დაძაბულ ბრძოლაში კვლავ გაიმარჯვეს ფლოტელებმა, ამჯერად, ანგარიშით 5:4 (0:1, 1:1, 1:0, 3:2).

შეხვედრის ბედი, ფაქტიურად, 4-მეტრიანმა საჯარიმოებმა გადაწყვიტა, ვინაიდან ყველა გოლი სწორედ სასჯელის ამ უმაღლესი ზომის მიღების შემდეგ გავიდა. პირველი 4-მეტრიანი საჯარიმო გაიტანა დინამოელმა ბარანოვმა, რამდენიმე წუთის შემდეგ კი... ფლოტელმა შიდლოვსკიმ მიზანს ააცდინა. თუმცა მერე მან 5 პენალტი გაიტანა და გუნდს გამარჯვებაც მოუტანა. დინამოელთა ყველა საჯარიმო გოლით დაავირგვინა ბარანოვმა.

ახლა ლიდერებს — ფლოტელებსაც და მოსკოველ დინამოელებსაც ქულათა თანაბარი რაოდენობა აქვთ — 25-25.

## ქუთაისში ინადირეს „მელაზე“

### I ადგილზე — თბილისელები



ამას წინათ ქუთაისში გაიმართა საქართველოს პირველობა „მელაზე ნადირობაში“. ამ სახეობაში შეჯიბრების დროს მაღალი მგრძნობიარობის რადიომიმღებით აღჭურვილი სპორტსმენი ეძებს რამდენიმე ადგილას დამალულ „მელას“. გამარჯვებულად ითვლება ის, ვინც ყველაზე ადრე დაამთავრებს ტურნირს. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის რადიოკლუბების სპორტსმენები. პირველობა თბილისელებმა მოიგეს. II ადგილზე გავიდა მასპინძელთა კოლექტივი.

პირად ასპარეზობაში ქალებში ყველას ქუთაისელმა ე. შალიკიანმა აჯობა. ვაჟებში გაიმარჯვა. რუსთაველმა ელექტროტექნიკოსმა ი. სოსინმა.

შეჯიბრების შემდეგ დაკომპლექტდა საქართველოს ნაკრები, რომელიც საკავშირო ტურნირში იასპარეზებს.

**ჯ. ფხაკაძე.**
(ჩვენი კორ.).

ქუთაისი.

• • •

**ს უ რ ა თ ზ ე:** კიდევ რამდენიმე წამი და ცენტრი კავშირს დაამყარებს „მელებთან“...

ფოტო ავტორისა.

ფეხბურთი

საქართველოს ჩემპიონატი

### I ჯგუფის II ქვეჯგუფი

**I ზ ო ნ ა**

„ვაზისუბანი“ (გურჯაანი) — „ზემო ქართლი“ (ხაშური) 0:0, „სამგორი“ (გარდაბანი) — „არაგვი“ (დუშეთი) 4:0, „ელმავალმშენი“ (თბილისი) — „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) 1:5, „განთიადი“ (კასპი) — „შირაქი“ (წითელწყარო) 1:2, „კოლმეურნე“ (მარნეული) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 1:1, „თრიალეთი“ (წალკა) — „მეტალურგი“ (რუსთავი) 3:2.

**შენიშვნა:** მცხეთის „არაგვის“ ნაცვლად გათამაშებაში მონაწილეობს გურჯაანის „ვაზისუბანი“, ხოლო თელავის „ნადიკვრის“ მაგივრად — „ფარვანა“ (ბოგდანოვკა).

**II ზ ო ნ ა**

„მეშახტე“ (ტყვარჩელი) — „რიწა“ (გუდაუთა) 0:0, „სალხინო“ (გეგეჭკორი) — „მშენებელი“ (ჭიათურა) 7:0, „კოლხეთმშენი“ (ფოთი) — „ელექტრიკოსი“ (ქუთაისი) 0:0, „განთიადი“ (ტყიბული) — „განთიადი“ (აბაშა) 0:1, „დინამო“ (ოჩამჩირე) — „კოლხეთი“ (ხობი) 1:1, „ტორპედო“ (ქუთაისი) — „იმერეთი“ (თერჯოლა) 1:1, „ჩიხურა“ (საჩხერე) — „განახლება“ (ადიგენი) 2:2. მაიაკოვსკის „საირმეს“ დამარცხება ჩაეთვალა „სამგურალთან“ (წყალტუბო) შეხვედრაში.

**შენიშვნა:** ამბროლაურის გუნდის ნაცვლად თამაშობს გუდაუთის „რიწა“, მახარაძის „ლაითურის“ მაგიერ — ტყიბულის „განთიადი“, ხოლო ქობულეთის „ცეცხლაურის“ ნაცვლად — ქუთაისის „ტორპედო“.

### 14 აპრილის შეხვედრათა კალენდარი

**I ზ ო ნ ა**

„ბახტრიონი“ (ახმეტა) — „თრიალეთი“ (წალკა), „შირაქი“ (წითელწყარო) — „კოლმეურნე“ (მარნეული), „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) — „განთიადი“ (კასპი), „არაგვი“ (დუშეთი) — „ელმავალმშენი“ (თბილისი), „გარისი“ (თეთრი წყარო) — „სამგორი“ (გარდაბანი), „ზემო ქართლი“ (ხაშური) — „აბული“ (ახალქალაქი), „ფარვანა“ (ბოგდანოვკა) — „ვაზისუბანი“ (გურჯაანი), „ვარძია“ (ასპინძა) — „მეტალურგი“ (რუსთავი).

**II ზ ო ნ ა**

„რიწა“ (გუდაუთა) — „განახლება“ (ადიგენი), „იმერეთი“ (თერჯოლა) — „ჩიხურა“ (საჩხერე), „კოლხეთი“ (ხობი) — „ტორპედო“ (ქუთაისი), „განთიადი“ (აბაშა) — „დინამო“ (ოჩამჩირე), „ელექტრიკოსი“ (ქუთაისი) — „განთიადი“ (ტყიბული), „საირმე“ (მაიაკოვსკი) — „კოლხეთმშენი“ (ფოთი), „მშენებელი“ (ჭიათურა) — „სამგურალი“ (წყალტუბო), „კოლმეურნე“ (ჩხოროწყუ) — „სალხინო“ (გეგეჭკორი). ტყვარჩელის „მეშახტე“ თავისუფალია.

სოფლის სპორტსმენები

სოფელ ფშაველის კომკავშირელთა თაოსნობით კეთილმოწყობილ იქნა ადგილობრივი სტადიონი. ახალი სეზონისთვის მზადებაში მუყაითი შრომით თავი ისახელეს ბ. და ს. ალლინაშვილებმა, გ. ამირაჯიბმა, ბ. მჭედლიშვილმა და სხვ.

**შ. ჯაჟვაძე.**
(ჩვენი კორ.).

თელავის რაიონი.

## წოდებათა მინიჭება

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს ბიუროს დადგენილებით სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭათ: **სამხედრო სამჭიდში** — ა. ანოშკინს (თბილისის ასკ); **ნიჩბოსნობაში** — ვ. უშანოვს, ლ. ომელჩენკოს (ორივე — თბილისის ასკ); **მხატვრულ ტანვარჯიშში** — ნ. კრივონოგოვას (ბათუმი, განათლების სამინისტრო); **სასტენდო სროლაში** — მ. თოფურიას (წალენჯიხის „კოლმეურნე“), გ. ქუტიძეს (მახარაძის „კოლმეურნე“), ა. ქორიას, ლ. შეროზიას (ორივე — ზუგდიდის „კოლმეურნე“), ა. დიმჩუკს (თბილისის ასკ).

* * *

სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს ბიუროს დადგენილებით საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭათ: **ძალოსნობაში** — შ. წერეთელს (თბილისი); **ხელბურთში** — ე. ჰასანოვას (თბილისი); **კალათბურთში** — ნ. დარახველიძეს (სოხუმი).

## საპატიო სიგელით

ხელბურთის განვითარებაში მრავალი წლის ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის და დიდი ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავთან დაკავშირებით სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა საპატიო სიგელით დააჯილდოვა სსრ კავშირის ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელი **გ. შარაშიძე** (თბილისი).

# უცხო შინაურები

წერილმა გზად გვიხმო...

კეხიჯვრის საშუალო სკოლის კურსდამთავრებულებს თამამად აღარ შეუძლიათ მშობლიური სკოლის კარის შეღება. არავის დასცდენია ალერსიანი სიტყვები: მობრძანდით, ითამაშეთ, ოღონდ...

... ოღონდ გაკვეთილების შემდეგ და კვირაობით, თანაც, ბაზებს და ინვენტარს გაუფრთხილდითო, — დაახლოებით ამგვარი პასუხი იყო საჭირო, მაგრამ...

კეხიჯვრელმა ახალგაზრდებმა ბარათი მოგვწერეს, სკოლის მოედნებზე სათამაშოდ არ გვიშვებენო.

სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს თ. ფურცელაძეს ეს ბარათი რომ წავუკითხეთ, მხოლოდ ასე გვიპასუხა: ასეა, ჩვენც გული გვტკივა, მაგრამ რა ვქნათო.

ერთი სიტყვით, ასე იქცნენ უცხოდ შინაურები.

ერთ დროს შუა სოფელში ახალგაზრდებს თავიანთი სპორტული სარბიელი ჰქონიათ. დღეს იმ ადგილს მოედნობა აღარ ეტყობა. შარშან სარბიელი კლუბკანტორის მშენებლებს მოსვლიათ თვალში. მოუზიდავთ მასალა, დაუკრავთ წერაქვი და ჩაუყრიათ საძირკველი. სპორტის მოყვარულთა გულისწყრომა პარტიის რაიონულ კომიტეტამდე მისულა. მშენებლობა შეუწყვეტიათ, მაგრამ მოედნის ხელახლა მოწყობისთვის ხელი აღარავის გამოუღია. მხოლოდ ეგ იყო, გათხრილი საძირკვლები ისევ ამოავსეს და ძელები ჩასვეს. დარჩა გაპარტახებული ადგილი ქვითა და ღორღით მოფენილი. ძელებზე ვიღაცამ მოითბო ხელი ამ ზამთარს.

მე რა სხვაზე ნაკლები ვარო? — უთქვამს იქვე მცხოვრებ ი. ევსტაფიშვილს და მშენებლებს გაჯიბრებია მოედნის „გამოყენებაში“. შარშან ადროვეს ჭირნახულის დაბინავება, მაგრამ გემრიელი ყოფილა ნაფეხბურთალ მიწაზე მოყვანილი მოსავალი, — მობალადეს წლეულსაც ყველაზე უწინ გადაუხნავს მიტაცებული ფართობი (იხ. სურათი).

გულგრილობა სათავეს გამგეობიდან (თავმჯდომარე ნ. ლიპიტაშვილი) იღებს. კოლმეურნეობა რვა სოფელს აერთიანებს, მაგრამ დღემდე ერთი უბრალო სპორტული მოედანიც არსად მოუწყვიათ, არაა შექმნილი ფიზკულტურის კოლექტივები, არ მუშაობს სექციები. ცხადია, არც შეჯიბრებები იმართება, დავიწყებას მიეცა ფეხბურთელთა და მოჭიდავეთა კარგი ტრადიციები...

„კოლმეურნის“ რაიონულ საბჭოს არაერთგზის კანონიერი მოთხოვნის მიუხედავად, არ იყენებენ მეთოდისტის შტატს.

„კოლმეურნის“ მომართვა გამგეობის სხდომაზე განვიხილეთ, მეთოდისტიც ავიყვანეთ, მაგრამ არ გამოგვადგაო, — გვითხრა გამგეობის თავმჯდომარემ. მერე დასძინა — სპორტული ინვენტარი გვქონდა, მაგრამ სკოლას გადავეცითო. მისი ნათქვამი ტყუილი გამოდგა.

კოლმეურნეობის გამგეობაში თვალსაჩინო ადგილზე გამოუკრავთ სოციალისტური შეჯიბრების ვალდებულებები, მაგრამ სპორტული ბაზები და ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი ღონისძიებები ერთი სიტყვითაც არსადაა ნახსენები. ფიზკულტურისა და სპორტის საკითხი კოლმეურნეობასა და სასოფლო საბჭოს მსჯელობის საგნად არ უქცევია.

სოფლის ახალგაზრდობა ყურადღებას მოითხოვს, ეს ყურადღება კი, პირველ ყოვლისა, სკოლისა და კოლმეურნეობის შეთანხმებულ საქმიანობაში უნდა ჩანდეს.

**თ. გაჩეჩილაძე.**
(ჩვენი სპეც. კორ.).

ქარელის რაიონი.



სსრ კავშირის ჩემპიონატები კალათბურთში

# როგორ გაქვთ საქმე, პრეტენდენტებო?

ჩვენი კომენტარი

კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ფინიშზე მთელი ყურადღება მიპყრობილია იმ ოთხი გუნდისკენ, რომლებიც ოქროს მედლების მოპოვების შანსს ან თეორიულად ინარჩუნებენ, ან პრაქტიკულად. ერთ-ერთი „თეორეტიკოსი“ — ცსკა გუშინწინ კიევში შეხვდა გუნდს, რომელიც ბოლო წლების უცვლელი ვიცე-ჩემპიონია, წლეულს კი ადრე თქვა უარი უმაღლეს ტიტულზე და ახლა, უკეთეს შემთხვევაში, პრიზიორთა შორის მოხვედრაზე ოცნებობს. ალბათ მიხვდით, რომ ლაპარაკია „სტროიტელზე“, რომელმაც საკმაოდ დამაჯერებლად მოუგო ცსკა-ს — 70:55 (34:26).

უკრაინის დედაქალაქში ჩასვლამდე მოსკოველებს, მიუხედავად იმისა, რომ თბილისის დინამოელებზე 2 ქულით მეტი ჰქონდათ დაკარგული, ჩემპიონობის ყველაზე ნაღდ პრეტენდენტებად მიიჩნევდნენ, ვინაიდან ქართველ კალათბურთელებს ისინი შინ ხვდებოდნენ. მაგრამ ცსკა, როგორც ჩანს, უკრაინულ ტურნეს მოუმზადებელი შეხვდა არა მარტო ტექნიკურად, არამედ ფსიქოლოგიურადაც და ზედიზედ სამჯერ დამარცხდა. ახლა მასზე უკეთესი მდგომარეობა აქვთ კიევის არმიელებსაც და ლენინგრადის „სპარტაკსაც“.

განსაკუთრებით პერსპექტიულია (რა თქმა უნდა, თბილისის დინამოელთა შემდეგ) კიევის არმიელთა მდგომარეობა, რომლებიც დარჩენილ 5 მატჩს (ლენინგრადის „სპარტაკთან“, ტარტუს „კალევთან“ და ერთ გაპროტესტებულ შეხვედრას თბილისის „ბურევესტნიკთან“) შინ ატარებენ. თუ ვივარაუდებთ, რომ უკრაინელები ყველა ხუთ შეხვედრას მოიგებენ (ასკ წლეულს შინ მხოლოდ ერთხელ დამარცხდა თბილისის „დინამოსთან“), ჩემპიონატს ისინი 30 ქულით დაამთავრებენ. ამდენ ქულას თეორიულადაც ვერ აგროვებენ ლენინგრადისა და მოსკოვის გუნდები. გამოდის, რომ კიევის არმიელებს რეალური შანსი აქვთ როგორც I, ისე (და უფრო მეტად) II ადგილის მოპოვებისა.

თბილისის „დინამომ“ გუშინწინ ანგარიშით 77:69 (36:34) დაამარცხა სვერდლოვსკის „ურალმაში“ და კიდევ უფრო დაუახლოვდა ჩემპიონის ტიტულს. მაგრამ მტკიცება იმისა, რომ დინამოელებს ოქროს მედლები „ჯიბეში უდევთ“, ნაადრევია თუნდაც იმიტომ, რომ წინაა კიდევ 5 გასვლითი მატჩი („ურალმაშთან“, ცსკა-სთან და კაუნასის „ჟალგირისთან“) და 2 შეხვედრა შინ, რიგის ვეფ-თან. 4 ქულა შვიდიდან — ესაა მინიმუმი, და მაშინ „დინამოს“ ვეღარც ერთი მეტოქე ვერ დაეწევა, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ ამ 4 ქულას უბრძოლველად არავინ დათმობს.

**ნ. ბუგუშვილი.**

* * *

მოგვყავს იმ შეხვედრათა კალენდარი, რომლებმაც გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშონ საპრიზო ადგილების განაწილებაში: 11-12 აპრილი. ასკ (კიევი) — „კალევი“ (ტარტუ), 14-15. ცსკა — „დინამო“ (თბილისი), 16-17. ასკ (კიევი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი), 17-18. ცსკა — „ბურევესტნიკი“ (თბილისი), 20-21. „სტროიტელი“ (კიევი) — „სპარტაკი“ (ლენინგრადი), 21. ასკ (კიევი) — „ბურევესტნიკი“ (თბილისი), 22-23. „დინამო“ (თბილისი) — ვეფ (რიგა), 28-29. „ჟალგირისი“ (კაუნასი) — „დინამო“ (თბილისი).

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 10 აპრილისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (თბილისი) | 37 | 27 | 10 | 2749—2553 | 27 |
| ასკ (კიევი) | 39 | 25 | 14 | 2738—2587 | 25 |
| ცსკა | 39 | 24 | 15 | 2571—2438 | 24 |
| „სპარტაკი“ (ლენინგრადი) | 38 | 24 | 14 | 2753—2661 | 24 |
| „სტროიტელი“ (კიევი) | 39 | 22 | 17 | 2565—2502 | 22 |
| „კალევი“ (ტარტუ) | 38 | 20 | 18 | 2547—2464 | 20 |
| ვეფ (რიგა) | 38 | 19 | 19 | 2653—2656 | 19 |
| „ჟალგირისი“ (კაუნასი) | 36 | 18 | 18 | 2520—2486 | 18 |
| ასკ (რიგა) | 40 | 18 | 22 | 2886—2883 | 18 |
| „ბურევესტნიკი“ (თბილისი) | 37 | 18 | 19 | 2464—2416 | 18 |
| „ბურევესტნიკი“ (ბაქო) | 38 | 7 | 31 | 2787—3237 | 7 |
| „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) | 39 | 7 | 32 | 2661—3032 | 7 |

## ბრინჯაო...

კაუნასი, 9 აპრილი. კალათბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის დასკვნით ტურში დასანანი მარცხი განიცადეს კიევის დინამოელებმა. საფინალო სასტვენამდე 2-3 წუთში მათ დაკარგეს ის უპირატესობა, რომელიც ვილნიუსის „კიბირკშტისთან“ მთელი თამაშის მანძილზე ჰქონდათ. ლიტველებმა გაიმარჯვეს — 68:64.

ამ შედეგმა კიდევ უფრო გაამწვავა ბრინჯაოს მედლებისთვის ბრძოლა. თუ ოქროსა და ვერცხლზე პრეტენზიას ფაქტიურად რიგის ტტტ და მოსკოვის ოლქის „სპარტაკი“ აცხადებენ, საპატიო კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე ასასვლელად მზადაა „კიბირკშტისიცა“ და მოსკოვის „დინამოც“, სვერდლოვსკის „ურალმაშიცა“ და ლენინგრადის „ბურევესტნიკიც“...

მოგვყავს მეორე კალენდარული დღის შედეგები: ტტტ (რიგა) — ასკ (ლენინგრადი) 75:44, „დინამო“ (ნოვოსიბირსკი) — „ტექსტილმაში“ (ტაშკენტი) 66:48, „დინამო“ (მოსკოვი) — „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი) 63:44, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „სპარტაკი“ (მოსკოვის ოლქი) 61:49.

საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა დაამარცხა კაუნასის „პოლიტექნიკა“ — 57:46 (26:18).




# მიშელ იაშვილი — „ექიპის“ ფურცლებზე

მიშელ იაშვილზე ჩვენი გაზეთის მკითხველებმა დღემდე ალბათ არაფერი იცოდნენ. იგი საფრანგეთში დაიბადა, იქ გაიზარდა და ახლა ამ ქვეყნის ერთ-ერთი საუკეთესო, როგორც იქაური სპორტული პრესა წერს, „საერთაშორისო მნიშვნელობის“ რეგბისტია.

წერილი, რომელსაც შემოკლებით გთავაზობთ, საფრანგეთის სპორტულ გაზეთ „ექიპში“ დაიბეჭდა.

**შაბათს, კოლუმბში მიშელ იაშვილი საფრანგეთის რეგბის ღირსებას დაიცავს ინგლისელებთან შეხვედრაში.**

**რა საოცარია მაინც კაცის ბედი! მამისგან შვილს გადაეცა მჩქეფარე ტემპერამენტი, დედისგან კი ცოტა უხეში, მტკიცე, მოუდრეკელი ხასიათი, რომელიც დამახასიათებელია კორეზის მცხოვრებლებისთვის.**

**როგორ მოვიდა რეგბიში მიშელ იაშვილი, როცა მის მშობლებს ამ სპორტთან არავითარი კავშირი არ ჰქონდათ?**

— იცით, ტულში (იაშვილი ამ ქალაქში დაიბადა) ძნელია, რომ ბოლოსდაბოლოს რეგბის თამაში არ დაიწყო. ეს თამაში მთელი ქალაქის საყვარელი სპორტია. მე გამაოცა რეგბის ბურთის ფორმამ და ვთხოვე მამას ასეთი ბურთი ეყიდა ჩემთვის. მამამ, რომელიც კარგი სპორტსმენი იყო, გამიგო და ბურთიც მალე მიყიდა. ასე რომ, რეგბის „თამაში“ სულ პატარამ დავიწყე, — ამბობს მიშელ იაშვილი.

**14 წლიდან იაშვილი ტულის სპორტული კლუბის ჭაბუკთა გუნდის მოთამაშეა.**

**აქედან იწყება მისი სპორტული კარიერა. იგი კარგი ხელმძღვანელის მეთვალყურეობით გადის სპორტსმენის მომწიფებისა და დაოსტატების ძნელ გზას.**

**როგორ გახდა იაშვილი საფრანგეთის ნაკრების გამთამაშებელი?**

— თავიდან სამმეოთხედელად ვთამაშობდი, შემდეგ, იუნიორებში, თანდათან დავუახლოვდი მოქმედებას და ადგილი დაცვაში დავიჭირე. ჩემი დებიუტი დაიწყო ლიმუზინის გუნდის შესარჩევ მატჩში მომავლის თასზე. ორი ნახევარმცველი უკვე არჩეული იყო. ნოელ ბოდრიმ, რომელსაც ხელმძღვანელობა ჰქონდა დავალებული, მთხოვა მესამე ხაზში მეთამაშა, ვინაიდან ერთი მოთამაშე აკლდა. მე დავთანხმდი.

**იმავე წელს იაშვილმა დაამტკიცა, რომ ძალიან კარგი მოთამაშე იყო. შერჩევითი მატჩის შემდეგ მიშელი საფრანგეთის ნაკრებში შეიყვანეს.**

**იტალიის რეგბისტებთან გამართულ მატჩში იაშვილმა ორი ცდა განახორციელა, ხოლო გალების წინააღმდეგ ბრძოლაში მისი თამაში გამარჯვების ერთ-ერთი ძირითადი არგუმენტი იყო.**

**საერთოდ, ის ფაქტი, რომ უკვე საერთაშორისო მნიშვნელობის სპორტსმენი ხარ, ჯარში გაწვევის დროს თითქმის მექანიკურად განიჭებს იმ პრივილეგიას, რომ ჟუანვილის სამხედრო ნაწილში ჩაგრიცხონ (ჟუანვილშია საფრანგეთის მთავარი სპორტული სკოლა).**

**ჟუანვილში ჩასულ მიშელს რობერ ბულენმა შემდეგი სიტყვებით მიმართა: „იმისთვის, რომ მესამე ხაზში ითამაშო, სიმაღლე გაკლია, თავდამსხმელად თამაშისთვის კი წონა. ეცადე გამთამაშებლად დაოსტატდე“.**

**და ორ წელიწადში იაშვილი დაეუფლა თავის ახალ ამპლუას. იმ მისტიკას, რომელიც გამთამაშებლის რთულ მოვალეობას ახახავს, არ შეუშინებია სპორტსმენი...**

## არავითარი საიდუმლოება

— გამთამაშებლის როლს რატომღაც საოცრად რთულად მიიჩნევენ და საიდუმლოებით მოსავენ. ჩემი აზრით, ეს არც ისე ძნელი პრობლემაა. ჩვენი ძოვალეობაა ბურთის შენარჩუნება.

**ხედავთ, იაშვილისთვის ყველაფერი რა ნათელია! და თუ მიშელი ოდნავ მაინც ღელავს შაბათის მატჩის წინ, ეს პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ თავის პარტნიორებს არ იცნობს.**

— რაკი ნაკრებში თამაშობენ, ესე იგი, კარგი მოთამაშეები არიან. პარასკევს ყველამ ერთად კარგად უნდა გავიაზროთ მომავალი შეხვედრა და ყველა ერთი აზრის ვიყოთ ოპერაციის ხასიათზე.

**იაშვილს გამთამაშებლის ამოცანების გადაჭრა არ ეკისრებოდა, რადგან ტულში გამთამაშებლად შესანიშნავი სპორტსმენი ასტარია თამაშობს.**

**პიერ ლეტერი — ტულის ნაკრების მწვრთნელი ძალიან დაბნეულია: „ასტარია კარგი ბიჭია, მან საოცარი სამსახური გაგვიწია და ჩვენთვის მუდამ ძვირფას მოთამაშედ რჩება. მეორეს მხრივ, მიშელ იაშვილი სრულიად მაკმაყოფილებს, როგორც სამმეოთხედელი. მიუხედავად ამისა, მე ვიცი, რომ მიშელისთვის გამთამაშებლად თამაში აჯობებდა. ის ძალიან კარგია ამ ამპლუაში და საფრანგეთის ნაკრებშიც გამთამაშებლად თამაშობს, მაგრამ ჩვენთან ეს ჯერჯერობით შეუძლებელია. დარწმუნებული ვართ, შაბათს მიშელი კარგ ფორმაში იქნება“.**

**სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდის შემდეგ მიშელი ცხოვრობს კოლომბოში (პარიზის გარეუბანი, სადაც უდიდესი სტადიონია) და სტადიონის დარაჯის მოვალეობა აკისრია. საქმარისია შინიდან გამოვიდეს, კიბის ორი საფეხური ჩაირბინოს და მიშელი უკვე ან მოედანზეა, ან მშვენიერ ფიჭვნარში. დიდ მანძილებზე ფეხით სიარულს მუსკულატურის სვანსები მოსდევს, რომელსაც პიერ ლეტერი ხელმძღვანელობს. ხშირად მიშელი ჩოგბურთს თამაშობს. ჩოგბურთი მისი საყვარელი სპორტია.**

**საყოყმანო არაფერია, მიშელი ფორმაში იქნება!**

**მიშელ იაშვილი, რომელიც მთელი კვირის განმავლობაში ვარჯიშობდა გათამაშებაში თავის მეგობარ ბერეჟნოისთან ერთად, მშვენიერი, 22 წლის ათლეტია.**

**ჟან-ჟაკ სიმლერი.**

# უსწავლელები

## რომელი კლასიდან გამოვიდა ფეხბურთელი ვალოდია

იგი სკამზე ზის და ფეხი ფეხზე გადაუდევს, ახალგაზრდა მასწავლებელ ქალს დაცინვით შესცქერის და სიტყვებს იმადლება: „ბა-ქო-ში შეგვაგვიანეს, გესმით? იქ თბილისში გველოდნენ. წლეულს არაფერი გამოვა, ღმერთმანი“.

ვინ არის ეს ესოდენ მოუცლელი დენდი? ფეხბურთს თამაშობს ოსტატთა ჯგუფში, რომელიღაც გუნდის დუბლიორია... სკოლაში შემოსვლისას ვალოდიამ ვერავითარი მოწმობა ვერ წარმოადგინა, ასე რომ, კაცმა არ იცის, რომელი კლასიდან გამოსული შეუდგა ბრწყინვალე საფეხბურთო კარიერას. შეიძლება მეხუთე კლასიდან გამოვიდა, შეიძლება უფრო ადრე...

ახალთახალი ყელიანი ფეხსაცმელები გამოფენაზე გამოუდევს, აშკარად ფიქრობს ეფექტი მოახდინოს გოგოებზე, კანცელარიაში რომ შერბი-გამორბიან. მე კი ვფიქრობ, „შე საცოდავო, შე საბრალო! რა გეშველება, როცა შენზე ახალგაზრდა დუბლიორი შეგცვლის? ოცდაათი წლისას — არავითარი სპეციალობა, ხუთი კლასის მარაგი! რა ვუყოთ ამ ხალხს, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია დავიწყოთ?“

ფეხბურთელებთან მე საერთოდ ბედი არ მწყალობს. რა თქმა უნდა, ყველა როდი ჰგავს ზემოთ აღწერილ გმირს. უმეტესად ისინი თავმდაბალი, კარგი ბიჭები არიან, ესმით, რომ უნდა ისწავლონ, რომ სხვანაირად არ შეიძლება მაგრამ... დადგება მარტი, ჩვენში ისევ ნამქერი ტრიალებს, სადღაც სამხრეთში კი კაშკაშა მზეა. და ჩემს ფეხბურთელებს თვალებში ოცნება ჩაუდგებათ. მერე ვიღაც თვითმფრინავში ჩასვამს მათ და... მშვიდობით, ალგებრა!

საერთოდ სპორტსმენებისგან, განსაკუთრებით კი ნიჭიერი სპორტსმენებისგან, თავსატეხი არ გვაკლია.

აი, ორი მშვენიერი გოგონა. ჯერ თექვსმეტი წელი არ შესრულებიათ და უკვე სპორტის ოსტატები არიან. და სპორტმა თავის მტკიცე ხელებში მოიქცია ისინი. გოგონებს სკოლის დატოვება შესთავაზეს, რათა დილ-დილობით ვარჯიშისთვის მეტი დრო ჰქონოდათ.

„გალია, — ვეკითხები, — განტოლებისა რომ არაფერი გაგეგება, მერვე კლასის გამოცდები როგორ ჩააბარე?“ გალია თვალებს აფახულებს და ჩურჩულებს: „გამოცდებიდან გამათავისუფლეს, თორემ ვერასგზით ვერ ჩავაბარებდი...“

მეორეს, ზოიას, ცოტა მეტი ცოდნა აქვს, მაგრამ სამ სასწავლო თვეში — ოთხი მოგზაურობა!

სპორტული გრაფიკების განუხრელი შესრულების გარდა ფიქრობენ თუ არა რამეს მწვრთნელები, რომლებიც ამ ნიჭიერი მოზარდების მომავალზე აგებენ პასუხს?

...მეცხრე კლასში ერთი მხიარული ბიჭი გვყავდა — მიშა. მუშაობდა, საღამოს სკოლაში სწავლობდა და, რაც მთავარია, სადღაც დრამატულ სტუდიაშიც მეცადინეობდა. ამპლუა — კომედიის მსახიობი. იქ, იმ სტუდიაში რჩებოდა მისი სულის სამი მეოთხედი. ერთი მეოთხედი — ყველა დანარჩენს ხმარდებოდა. ცუდად სწავლობდა, მაგრამ ცდილობდა მაინც — ნიშნებს ასწორებდა, ხელახლა აბარებდა. მორიგ ორიანს რომ მიიღებდა, კლასის ხელმძღვანელს დასდევდა და ევედრებოდა: პატიოსან სიტყვას გაძლევთ, გამოვასწორებ... ოღონდ სტუდიაში არ დარეკოთო! ამისა ყველაზე მეტად ეშინოდა, რადგან რეჟისორმა ასე დააყენა საქმე: ვისაც სიმწიფის ატესტატი არა აქვს, აუცილებლად ისწავლოს. თუ სკოლაში ჩამორჩენილია — სტუდიაში მეცადინეობას ვერ დაესწრება. სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევები იშვიათია ჩვენს პრაქტიკაში.

არადა, სპორტმა და მხატვრული თვითმოქმედების წრეებმა ბევრს აუყარა სკოლაზე გული, და, სამწუხაროდ, არავის აინტერესებს, რა განათლება აქვს ახალგაზრდა სოლისტს, ახალგაზრდა მოცეკვავეს.

ეს უმნიშვნელო საკითხი არ გახლავთ. ჩვენს ქვეყანაში ყველა ახალგაზრდას როდი აქვს საშუალო განათლების ატესტატი და ამ „უსწავლელთა“ შორის აი, ასეთი სპორტსმენი თუ თვითმოქმედი მსახიობი ცოტა არ არის.

**ფ. პოდბერიოზსკაია.**

მოსკოვი.

**რედაქციისგან:** წერილი, რომლის თარგმანსაც დღეს გთავაზობთ, „ლიტერატურნაია გაზეტას“ 3 აპრილის ნომერში დაიბეჭდა. დასამალი როდია: პრობლემა, რომელიც წერილის ავტორს — მასწავლებელ ქალს აწუხებს, კერძო მნიშვნელობისა არ არის. თუ გულახდილად ვიტყვით, ამ პრობლემის გამო ჩვენც ბევრი გვაქვს სათქმელი. და შეიძლება სწორედ აშკარად ნათქვამმა, მკითხველის, მასწავლებლების, ფიზკულტურისა და სპორტის სპეციალისტების აზრმა, მათმა დაკვირვებულმა, საქმიანმა სიტყვამ, ვისაც ამ უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემის — ყოველმხრივ სრულყოფილი მომავალი თაობის აღზრდის გამო პასუხისმგებლობა ეკისრება, წამალი გამოუნახოს საერთო სატკივარს.

რედაქციას ასე მიაჩნია, და თუ მკითხველიც ამავე აზრისაა, მოდით, დავიწყოთ გულახდილი საუბარი.

## ვ. კორჩნოი — ს. რეშევსკი: იუგოსლავიაში

როგორც გაზეთი „სპორტსკე ნოვოსტი“ იუწყება, 28 აპრილს იუგოსლავიაში დაიწყება მსოფლიოს საჭადრაკო ტახტის გვირგვინოსნის პრეტენდენტთა კიდევ ერთი მატჩი ვ. კორჩნოისა და ს. რეშევსკის შორის.

ვ. კორჩნოის მწვრთნელად სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციამ დაამტკიცა დიდოსტატი ს. ფურმანი (ლენინგრადი), ს. რეშევსკის მწვრთნელი კი ჩვენთვის ჯერჯერობით უცნობია.

ამრიგად, პრეტენდენტთა 4 მეოთხედფინალური მატჩიდან 3 იუგოსლავიაში ტარდება: 21 აპრილს თამაშს იწყებენ მ. ტალი და ს. გლიგორიჩი, 28 აპრილს — ვ. კორჩნოი და ს. რეშევსკი, ხოლო 5 მაისს — ბ. ლარსენი და ლ. პორტიში.

## ახალი ამბები

● **მინსკი, 10 აპრილი.** ბელორუსიის თასზე მოფარიკავე რაპირისტ ქალთა პირადი შეჯიბრების შემდეგ მოეწყო გუნდური ასპარეზობა. გამარჯვება წილად ხვდათ რუმინეთის წარმომადგენლებს. მასპინძლები II ადგილზე დარჩნენ, ხოლო უნგრელები III ადგილს დასჯერდნენ.

● **მოსკოვი, 10 აპრილი.** დიდი ხნის შესვენების შემდეგ გფრ-ის ქალაქ ბამბერგში სათამაშოდ გაემგზავრა მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში ტ. პეტროსიანი. საბჭოთა სპორტსმენთაგან იქ იასპარეზებს ესტონელი დიდოსტატი პ. კერესიც. ტურნირში, რომელიც ბამბერგის საჭადრაკო კლუბის 100 წლისთავს ეძღვნება, ითამაშებენ, აგრეთვე, ა. მატანოვიჩი (იუგოსლავია), ლ. საბო (უნგრეთი), კ. ვესტერინენი (ფინეთი) და სხვ. მასპინძელთაგან გამოვლენ ვ. უნციკერი, ვ. შმიდი და ჰ. პფლეგერი.

● **მონტე-კარლო, 10 აპრილი.** მოჭადრაკეთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის V ტურის გადადებულ პარტიაში მ. ბოტვინიკმა და ბ. ლარსენმა ქულა გაიყვეს. II ტურის გადადებულ პარტიაში ლარსენმა მე-80 სვლაზე მოუგო უნგრელ გ. ფორინტოშს, ხოლო მესამე გადადებულ პარტიაში ვ. ჰორტთან (ჩეხოსლოვაკია) დანიელი დიდოსტატი ყაიმს დასჯერდა. 6 ტურის შემდეგ ბოტვინიკს, სმისლოვსა და ლარსენს 4-4 ქულა აქვთ. 3,5 ქულა მოაგროვა ჯგუფმა, რომელშიც შედის მსოფლიო ჩემპიონობის ერთ-ერთი პრეტენდენტი ლ. პორტიში (უნგრეთი).

● **ჩერკესკი, 10 აპრილი.** სსრ კავშირის ორგზის ჩემპიონებმა — ადგილობრივი „დომბაის“ მოტობურთელებმა თავიანთ სპორტულ ნადავლს კიდევ ერთი დაუმატეს — გაიმარჯვეს „ენძელას“ პირველ გათამაშებაში. მათ გარდა ასპარეზობდნენ ლენინგრადის „ომეგა“, კრასნოიარსკის „ენისეი“, ომსკის „ომიჩი“, პოლტავის „ვიმპელი“ და შახტის „გორნიაკი“. ჟიურიმ ტურნირის საუკეთესო მოთამაშეებად აღიარა „ვიმპელის“ მეკარე ვ. ზელენსკი, „ენისეის“ მცველი ვ. ლოგინოვი, „დომბაის“ თავდამსხმელი ვ. ბეზვოროტნი. სპეციალური პრიზით დააჯილდოვეს ტურნირის ყველაზე ახალგაზრდა სპორტსმენი, 19 წლის ვ. ერმაკოვი („გორნიაკი“).

## ძალოსნურ მერიდიანებზე

აპრილი მოსავლიანი გამოდგა რეკორდების დამყარების მხრივ.

დუბნაში ამას წინათ ნაჩვენებ 9 რეკორდს მეათეც უნდა დაემატოს: ოლიმპიური ჩემპიონის ა. ვახონინის (მჩატე წონა) საკავშირო რეკორდი ატაცში. მან 111 კგ აჩვენა და 1 კგ-ით დაამძიმა ორი წლის წინათ მის მიერვე ნაჩვენები წონა.

საბჭოთა ძალოსნები წარმატებით გამოვიდნენ უცხოეთის ფიცარნაგზეც. ერთ-ერთმა მათგანმა — ნ. მირონენკომ (მძიმე წონა) ტუნისში გამართულ შეჯიბრებაში საკავშირო რეკორდი დაამყარა — 180 კგ აჭიმა და ერთბაშად 4 კგ-ით დაამძიმა საკუთარი მიღწევა.

* * *

საფრანგეთის ძალოსანთა ტურნირში ფრანგ ათლეტთა შორის 200-კილოგრამიან ზღვარს აკვრაში პირველმა მიაღწია 32 წლის რ. ლევეკმა (მძიმე წონა). წინანდელი რეკორდიც მასვე ეკუთვნოდა და ნახევარი კილოგრამით ნაკლები იყო. მძიმეწონოსნებში II ადგილზე გავიდა 22 წლის ჟ. მიშონი — 470 კგ. ლილში გამართულ შეჯიბრებაში თავი გამოიჩინა, აგრეთვე, საშუალო წონის ძალოსანმა ე. ტერმმა. მან 1 კგ-ით გააუმჯობესა საკუთარი ეროვნული რეკორდი ატაცში — 135 კგ დაძლია.



„მიშველეთ, ცურვა არ ვიცი!“—გაიფიქრა ალბათ შვეციის გუნდის „ედსბიუნის“ ჰოკეისტმა ბიორნ შვარცვემ, როცა სტოკჰოლმის „იოჰანესჰიუს“ სტადიონზე მეტოქის კარში გადამწყვეტი შაიბა გაიტანა, თავის გუნდს სანატრელი გამარჯვება მოუტანა, სიხარულისგან შეხტა... და ყინულის მაგიერ წყალში ამოჰყო თავი. საქმე ის გახლავთ, რომ მთელ დღეს გადაუღებლად წვიმდა და ყინული ისე გაფუჭდა, რომ გუნდებმა თამაშზე უარი განაცხადეს. მაგრამ არბიტრებმა შეხვედრა მაინც ჩაატარეს. შვარცვეს ბედმა გაუღიმა — გოლიც გაიტანა და დახრჩობასაც გადარჩა!

ფოტო „პრესენს ბილდ აბს“ სააგენტოსი (შვეცია).

## ხელბურთელებმა კენჭი ჰყარეს

ცნობილია, რომ ხელბურთელ ქალთა გუნდების წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატი სსრ კავშირში გაიმართება. მაინის ფრანკფურტში მოეწყო კენჭისყრა. საბჭოთა ნაკრები ფინალში გასვლისთვის იუგოსლავიისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდებთან ერთად იბრძოლებს. მეორე ქვეჯგუფში შევიდნენ უნგრეთის, რუმინეთისა და გდრ-ის, მესამეში — გფრ-ის, დანიისა და იაპონიის გუნდები. თვითეული ქვეჯგუფიდან 2 უძლიერესი ფინალურ ასპარეზობაში თამაშის უფლებას მოიპოვებს. ფინალში მონაწილენი თავის მხრივ ორ ჯგუფად დაიყოფიან. აქ გამარჯვებულები ოქროს მედლებისთვის გამართავენ დასკვნით მატჩს.

ხელბურთის საერთაშორისო ფედერაციის ტექნიკურმა კომისიამ ვაჟთა გუნდების ჩემპიონატის ჩატარების წესიც განსაზღვრა. ასპარეზობის დასკვნითი ეტაპი 16 გუნდის მონაწილეობით 1970 წლის 25 თებერვალს დაიწყება საფრანგეთში. ჩეხოსლოვაკიის ნაკრები, როგორც მსოფლიოს ჩემპიონი, წინასწარი შეხვედრების ჩაუტარებლად დაუშვეს. იგივე უფლება ეძლევათ საფრანგეთს (როგორც ჩემპიონატის მასპინძელს), მაროკოსა და იაპონიას (როგორც აზიისა და აფრიკის ერთადერთ წარმომადგენლებს). ამერიკის სახელით იასპარეზებს აშშ — კანადის გუნდებს შორის გამარჯვებული. დანარჩენი 11 საგზურისთვის ევროპის 21 ქვეყანა იბრძოლებს. პრეტენდენტები დაყოფილი არიან 7 ჯგუფად: I. დანია, ისლანდია, ბელგია; II. რუმინეთი, ავსტრია, ბულგარეთი; III. სსრ კავშირი, პოლონეთი, ისრაელი; IV. შვეცია, ნორვეგია, ფინეთი; V. გფრ, ესპანეთი, პორტუგალია; VI. იუგოსლავია, შვეიცარია, ლუქსემბურგი, VII. უნგრეთი, გდრ, ჰოლანდია. პირველ ექვს ჯგუფში გამარჯვებულნი და VII ჯგუფში I-II ადგილებზე გასულნი საფრანგეთის საგზურებს მიიღებენ. პირველ ექვს ჯგუფში II ადგილზე გასულნი ერთ ჯგუფს შექმნიან და დამატებით ტურნირს გამართავენ. აქ პირველ სამ ადგილზე გასული გუნდებიც ფინალის საგზურებს დაისაკუთრებენ.

## უნუგეშო შედეგი

პარიზი, 10 აპრილი. მარცხი ბულგარელებთან შეხვედრაში — 0:1. ასეთია უეფა-ს ტურნირის—ევროპის იუნიორთა არაოფიციალური ჩემპიონატის მეორე მატჩში საბჭოთა ფეხბურთელების უნუგეშო შედეგი. თამაში ქალაქ ბანიოლში გაიმართა. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ მან ვერ მოხიბლა სტადიონზე მოსული 3000 მაყურებელი. სპეციალისტების აზრით, მატჩი არ გამოირჩეოდა მაღალი ტექნიკური დონით — ორივე გუნდი უმთავრესად ათლეტური მომზადების იმედით იყო. შეხვედრის ბედი გადაწყვიტა პენალტმა, რომელიც მე-40 წუთზე დაინიშნა საბჭოთა გუნდის კარში. ბურთი გაიტანა დენევმა.

საბჭოთა იუნიორები ახლა II ჯგუფის ტურნირის ბოლოში არიან. მათ სულ 1 ქულა მოაგროვეს. ამდენივე ქულა აქვთ ჰოლანდიელებს, რომლებმაც ასევე მინიმალური ანგარიშით (0:1) წააგეს მატჩი ინგლისელებთან. I-II ადგილებს კი იყოფენ ბულგარეთისა და ინგლისის გუნდები.

აი, სხვა ჯგუფებში გამართული მატჩების შედეგები: პორტუგალია — ბელგია 1:0, იტალია — ჩეხოსლოვაკია 2:0, იუგოსლავია — გფრ 1:0, უნგრეთი — გდრ 4:1, შოტლანდია — შვეიცარია 4:0, საფრანგეთი — საბერძნეთი 0:0.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

### „ფსიქოლოგიური დოპინგი“

**ის ამბავი,** რომ იტალიის უკანასკნელ ჩემპიონატამდე სრულიად უმნიშვნელო კლუბი „ვარეზე“ (აქამდე II ლიგის კლუბი) ახლა I ლიგაში საპრიზო ადგილისთვის იბრძვის, საყოველთაო ყურადღებას იპყრობს. მართალია, „ვარეზემ“ იყიდა ნაკრების მოწინავე მოთამაშე პიკი, მაგრამ, მიმომხილველთა აზრით, საქმე მარტო ამ მცველის ოსტატობაში როდია. ზოგი ჟურნალისტი წერდა რაღაც თავისებურ დოპინგზე. ამაზე „ვარეზეს“ პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მისი მოთამაშეები გამსჭვალული არიან „ფსიქოლოგიური დოპინგით“ და მთელი მატჩის მანძილზე დიდი თავგანწირვით, დაუღალავად იბრძვიან.

იტალიელი მიმომხილველები ფიქრობენ, რომ კლუბის პრეზიდენტი, ცნობილი მილიონერი ბორჯი თვითეული მოგებისთვის მოთამაშეებს დიდ პრემიებს აძლევს. რა თქმა უნდა, „ვარეზეს“ ხელმძღვანელობა ამას უარყოფს, ვინაიდან იტალიის ფეხბურთის ფედერაციას ამ შემთხვევაში შეუძლია კლუბის ხელმძღვანელობა დასაჯოს „მოთამაშეთა გარყვნისთვის“. როგორც ცნობილია, იტალიაში დროდადრო მიმართავენ ასეთ სანქციებს.

### ფონი გადადგა

**იტალიელი** სპეციალისტი დოქტორი ა. ფონი რამდენიმე წლის მანძილზე ედგა სათავეში შვეიცარიის ნაკრებს. ხელშეკრულების ძალით იგი ნაკრებს ხელმძღვანელობდა 1966 წლის მსოფლიო ჩემპიონატში და მასვე უნდა მოემზადებინა გუნდი 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატისთვისაც.

მაგრამ შვეიცარიის ფეხბურთის ფედერაციამ არ აპატია უცხოელ სპეციალისტს გუნდის მარცხი ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ თამაშებში და როცა შვეიცარიელებმა წააგეს იტალიელებთან ქ. კალიარიში (0:5), ფონის დაუყოვნებლივ გადადგომა მოუხდა.

მის ნაცვლად დანიშნულია ე. ბალაბიო, რომელიც წლების განმავლობაში თვით იცავდა ამ გუნდის ღირსებას, ბოლო წლებში კი ფონის თანაშემწე იყო. შარშან ფონი ხანგრძლივად ავადმყოფობდა და ბალაბიომ, რომელიც მას ცვლიდა, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში იზეიმა სენსაციური გამარჯვება რუმინელებთან (7:2), რამაც მას შვეიცარიაში დიდი სახელი მოუხვეჭა.

### გალატაკებული ტრიუმფატორი

**ჯიგია** ერთ დროს ფეხბურთის გულშემატკივართა კერპი იყო, დღეს კი სიღარიბეში ცხოვრობს. 1953 წელს ჯიგია იტალიაში ჩავიდა, სადაც იგი ტრიუმფატორივით მიიღეს. 1950 წლის მსოფლიო ჩემპიონატის გმირი — ჯიგია ურუგვაის ეროვნულ ნაკრებში მარჯვენა გარემარბად თამაშობდა და ფინალურ შეხვედრაში ბრაზილიის წინააღმდეგ ორივე გოლი გაიტანა. ჯიგია ფლობდა უმაღლეს ინდივიდუალურ ტექნიკას, უძლიერეს დარტყმას, ბრწყინვალე დრიბლინგს და ა. შ.

იტალიაში ჯიგიამ სახელი გაითქვა როგორც დიდებულმა დირიჟორმა. ამ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში მან ხუთჯერ ითამაშა, მაგრამ მისი მზე მალე ჩაესვენა. ჯიგიას მოსვენებას არ აძლევდნენ მევალეები, ხოლო მეუღლე ღამის კლუბში აღმოჩნდა.

ჯიგიამ გადაწყვიტა ურუგვაიში დაბრუნება, სადაც მისი ცნობილი პარტნიორი სკიაფინო სამსახურს ჰპირდებოდა. მაგრამ ბოლოს მან თავისი კარიერა ერთი რომაელის გარაჟის ყარაულობით დაასრულა. აქ მოიპარა ავტომობილი, რათა ურუგვაიში დასაბრუნებელი ფული ეშოვა. ფეხბურთელმა როგორც იქნა ჩააღწია სამშობლოს, ახლა მას აღარც ოჯახი გააჩნია, არც ფული. იგი მათხოვრის მდგომარეობაშია.

### „ინტერის“ იუბილე

**მილანის** „ინტერნაციონალეს“, მსოფლიოს ერთ-ერთ უმდიდრეს პროფესიულ კლუბს, არსებობის 60 წელი შეუსრულდა. საიუბილეო საღამოზე საზეიმოდ აღინიშნა, რომ გუნდი 10-ჯერ იყო იტალიის ჩემპიონი, ორჯერ მოიპოვა ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი და ერთხელ — საკონტინენტთაშორისო თასი.

მიმომხილველები წერენ, რომ „ინტერს“, ცოტა არ იყოს, ჩაუშხამდა იუბილე ეროვნულ ჩემპიონატში სუსტი გამოსვლის გამო. კლუბს არა აქვს საპრიზო ადგილზე გასვლის იმედი და მისი მესვეურები თავს მხოლოდ იმით იმშვიდებენ, რომ გუნდმა მაინც არ წააგო მატჩები გათამაშების ლიდერ „მილანთან“, რომელიც „ინტერის“ უმთავრეს მტრად ითვლება. „მილანთან“ წაგებას არაერთხელ მოჰყოლია „ინტერში“ მწვრთნელის შეცვლა.

როგორც იტალიელ ჟურნალისტებს მიაჩნიათ, ე. ერერა აღარ განაახლებს ხელშეკრულებას „ინტერთან“ და ესპანეთში წავა. მის შემცვლელად ასახელებენ ბუენოს-აირესის „რესინგის“ მწვრთნელს ხ. პიცუტის, რომელიც წარმოშობით იტალიელია.

## ჯადოქრული აფსკი



თქვენს წინაშეა საოცარი ჰამაკი, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში დაამზადეს ამას წინათ.

პლასტმასის აფსკი, რომელიც დაფარულია ალუმინის ფენით, სისქით სულ რაღაც 0,0025 სანტიმეტრია. მაგრამ მასალა იმდენად გამძლეა, რომ სულ იოლად უძლებს ადამიანის წონას. დაკეცეთ ჰამაკი და იგი თავისუფლად მოთავსდება შარვლის ჯიბეში, ჩანთაში.

ალუმინის საფარის მეოხებით აფსკი ინახავს ადამიანის მიერ გამოყოფილი სითბოს თითქმის 90 პროცენტს. აფსკი შესანიშნავი დამხმარე საშუალებაა ტურისტებისა და მთამსვლელებისთვის.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თბილისის სპორტული ამბები

**ფეხბურთი.** „ლოკომოტივის“ სტადიონი. **სსრ კავშირის პირველობა. „ა“ კლასის II ჯგუფი. „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „ზენიტი“ (იჟევსკი). დღეს** — დუბლშემადგენლობანი, **ხვალ** — ძირითადი შემადგენლობანი. მატჩების დასაწყისი 17 ს. 30 წ.

**ჭადრაკი.** ცენტრალური საჭადრაკო კლუბი (რუსთაველის პრ. № 48). **11-18 აპრილი. შესარჩევი შეჯიბრება ქალთა საერთაშორისო ტურნირისთვის.** დასაწყისი 16 ს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 9 უე 03193